მომავლის ფერმერის აქტივობები 2020

2020 წელს ორგანიზაცია მუშაობდა 4 პროექტზე შემდეგი მიმართულებით:

- ფიტოსანიტარიული შესაძლებლობების გაძლიერება (დონორი USDA)
- სოფლის მეურნეობის ექსტენცია აჭარაში (დონორი USDA)
- ფერმის მართვის სასწავლო პროგრამა და საჩვენებელი ტრენინგები (დამკვეთი პროგრამა SQIL)
- მეწარმე ქალთა ეკონომიკური საქმიანობების ხელშეწყობა (დონორი GIZ)

აღნიშნული პროექტების ფარგლებში მომავლის ფერმერის გუნდის მიერ განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობები:

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩატარდა მცენარეთა დაცვის ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს ორი სხდომა თებერვალსა და აგვისტოში.

- ჩატარდა მცენარეთა დაცვის ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს სამუშაო ჯგუფების 6 შეხვედრა, რომელთაც ჯამში ესწრებოდა 58 მონაწილე.



- მოეწყო სასწავლო ტური კახეთში აჭარის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების მოსწავლეებისათვის. სასწავლო ტურში მონაწილეობდა 8 ახალგაზრდა - ხულოს, ქედის, შუახევისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებიდან. მათ მოინახულეს ფერმები და საწარმოები: მეღვინეობა "შუმი", ყველის საწარმო "ცივი", ცხოველთა ფერმა, ჩირის საწარმო და პროფესიული განათლების კოლეჯი კაჭრეთში. მოსწავლეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

- ჩატარდა კონკურსი სკოლის მოსწავლეებისათვის: ”ჩემი ბოსტანი ჯობია შენსას”, სადაც მონაწილეობა მიიღო 37-მა მოსწავლემ, კომისიის მიერ შეირჩა 3 ფინალისტი, რომელთაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა და დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გადასცეს სერთიფიკატები და ფასიანი საჩუქრები.

პანდემიით გამოწვეული მძიმე პერიოდის საპასუხოდ, კახეთის რეგიონში დატრენინგდა 12 ქალი მეწარმე წარმატებული ბიზნეს გეგმის მომზადებაში. მათ ასევე მიიღეს გრანტები - ფინანსური დახმარება სტარტაპ-იდეების განსახორციელებლად.

giz
Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

FOF
მომავლის ფერმერი

- მომზადდა ფერმის მართვის სახელმძღვანელო და მოკლევადიანი სასწავლო კურსი, რომელშიც ჩართულნი იყვნენ დარგის წამყვანი სპეციალისტები. პირველ ეტაპზე კურსი დაინერგა კოლეჯ „ოპიზარის“ ბაზაზე, ასევე არის დაინტერესება სხვა კოლეჯების მხრიდან. პროექტის ფარგლებში ჩატარდა 4 ვებინარი ფერმერებისათვის, რომელთაც ჯამში ესწრებოდა 100 მონაწილე.

- აჭარის რეგიონისათვის მომზადდა სოფლის მეურნეობის ექსტენციის სამოქმედო გეგმა 2020-2021 წლებისათვის, რომელშიც ჩართული იყვნენ საერთაშორისო და ადგილობრივი ექპერტები, დარგის სპეციალისტები როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციებიდან.

- ექსტენციის სტრატეგიული ხედვის მოსამზადებლად აჭარაში ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები ექსტენციის სერვისის მიმწოდებლებთან, რომელსაც ესწრებოდა ჯამში 19 მონაწილე.

- Covid-19-ის გავრცელების საპასუხოდ ინტენსიური ხასიათი მიიღო ონლაინ ტრენინგებმა, რომელსაც უძღვებოდნენ დარგის ექსპერტები, როგორც საქართველოდან, ასევე აშშ-დან:

  - საერთაშორისო ექსპერტმა ტრენინგი ჩაუტარა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექსტენციის სპეციალისტებს, RDA-ს გუნდს და რეგიონული ცენტრების წარმომადგენლებს. ტრენინგის თემა გახლდათ გამოწვევები და პრაქტიკული რეკომენდაციები აგრარულ ექსტენციაში Covid-19 -ის გავრცელების პირობებში. ვებინარს ესწრებოდა 120 მონაწილე.





  - ტრენინგი ექსტენციის აგენტებისათვის, რომელსაც უძღვებოდა აგრო სერვის ცენტრის ხელმძღვანელი, ტრენინგში მონაწილეობდა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 10 ექსტენციონისტი.



  - საერთაშორისო და ადგილობრივმა ექსტენციის სპეციალისტებმა ჩაატარერ ონლაინ ტრენინგი აჭარის რეგიონის სოფლის მეურნეობის ექსტენციის სამოქმედო გეგმის შესახებ, რომელშიც მონაწილეობდნენ ექსტენციის რგოლის საკვანძო მონაწილეები: აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექსტენციის დეპარტამენტი, კერძო ექსტენციის სპეციალისტები, ასოციაციები, დონორი ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები, სულ 20 მონაწილე.

- ონლაინ ტრენინგების სერია ექსტენციის სპეციალისტებისა და აგენტებისათვის, ასევე, ახალგაზრდებისა და დარგით დაინტერესებული ადამიანებისათვის:
    - აგრარული ექსტენციის ეფექტური მიწოდება (10 მონაწილე);
    - პესტიციდების გამოყენება ერთწლიანი კულტურებისთვის (21 მონაწილე);
    - ფუტკრის დაავადებები და სამკურნალო მეთოდები (22 მონაწილე);
    - ჩენდლერის კაკლის წარმოება საქართველოში (17 მონაწილე);
    - კალმახის ინკუბაცია (19 მონაწილე);
    - ბოსტნეულის სათბურის მენეჯმენტი (15 მონაწილე).



მომავლის ფერმერის გუნდი მადლობას უხდის პარტნიორ ორგანიზაციებს გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც მოგვეცემა შესაძლებლობა, ჩვენი ცოდნისა და გამოცდილების დარგის სასიკეთოდ გამოყენებისათვის.

FOF

მომავლის ფერმერი